ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N21

15 ოქტომბერი 2026 წ.

დაბა ლენტეხი

„ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის №-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის № -24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 010250050.35.115.016266 04/05/2018 წ.) და დადგენილების 47-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1. საკრებულოს მორიგი სხდომა, მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც როგორც წესი, ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს. (თუ ხუთშაბათი არასამუშაო დღეა მაშინ მომდევნო სამუშაო დღეს). საკრებულოს მორიგი სხდომა, თუ არ იცვლება მისი თარიღი და ჩატარების ადგილი, არ საჭიროებს ოფიციალურად მოწვევას.”

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი